2023 წლის აგვისტო

ვისგან: ჰალინა ჩიჟიკი, უკრაინელი ექსპერტი, სასამართლო რეფორმატორთა საერთაშორისო ქსელის (INJR) წევრი.

ვის: დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“

თემა: ონლაინ დისკუსია: **„დამოუკიდებელი სასამართლო მმართველობა: ეფექტური გადაწყვეტილებების ძიებაში გარდამავალი დემოკრატიებისათვის“** (1 აგვისტო, 2023 წ.)

შესავალი

სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მოსამართლეების პოლიტიკური ზეწოლისგან დაცვის მიზნით, ევროპულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები სასამართლო მმართველობის შესახებ. ძირითად რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ მოსამართლეებმა საკუთარი კორპუსი უნდა მართონ დამოუკიდებელი საბჭოს მეშვეობით, რომლის წევრების უდიდეს ნაწილს (ზოგიერთი დოკუმენტის თანახმად კი - უმრავლესობას) მოსამართლეები თვითონ აირჩევენ. დღესდღეისობით ითვლება, რომ მოსამართლეებისგან დაკომპლექტებული საბჭო სასამართლოს დამოუკიდებლობის საუკეთესო გარანტს წარმოადგენს.

აღნიშნული რეკომენდაციის ეფექტურობა უკვე დამტკიცდა მოწიფულ დემოკრატიებში, სადაც მართლმსაჯულების სისტემები დროთა განმავლობაში შენდებოდა და უზრუნველყოფდა სასამართლოს დაცულობას არასათანადო პოლიტიკური ჩარევებისგან. თუმცა, აღნიშნული სტანდარტის დანერგვას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რომლებმაც დემოკრატიული ტრანსფორმაცია სულ ახლახანს დაიწყეს, არ მოჰყოლია მოსალოდნელი შედეგები. პირიქით, კორუმპირებული და პოლიტიკურად დამოკიდებული მოსამართლეები გაძლიერდნენ და შექმნეს სასამართლო სისტემის სრულად მაკონტროლებელი „კლანები“[1]. როგორც ვენეციის კომისიამ ერთ-ერთ თავის მოსაზრებაში აღნიშნა, ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, სასამართლოს დამოუკიდებლობის

[1] სასამართლო მმართველობა გარდამავალ დემოკრატიებში: მიღებული გამოცდილება, ანალიტიკური ნაშრომი, ხელმისაწვდომია: https://2021.uadia.org/wp-content/uploads/2021/06/Judicial-Governance-in-Transitional-Democracies.pdf

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

სტანდარტებმა შესაძლოა შექმნას პარადოქსი: „დამოუკიდებლობის გარანტიების მინიჭება“ ისეთი მოსამართლეებისათვის, რომლებიც პრაქტიკაში სულაც არ გამოირჩევიან დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით, აყალიბებს „კორპორატიულ მიდგომებს, რაც იწვევს ფართოდ გავრცელებულ კორუფციას, პროფესიონალიზმისა და ეფექტიანობის ნაკლებობას“[2].

კერძოდ, გასული ათწლეულების განმავლობაში, მოსამართლეთა დანიშვნისა და დისციპლინირების სისტემების რეფორმა საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში განხორციელდა დამოუკიდებელი სასამართლო საბჭოს შექმნის გზით, რომლის შემადგენლობის ნახევარს/უმრავლესობას მოსამართლეები თავად ირჩევენ. მართალია ამ ღონისძიებებმა დასავლური დემოკრატიებისა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მოწონება დაიმსახურა, თუმცა აღნიშნულმა მაინც ვერ უზრუნველყო სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გაძლიერება, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება და სასამართლოში კორუფციის დონის შემცირება.

საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში გატარებულმა სასამართლო რეფორმამ, რომლის მიზანსაც ევროპული სტანდარტების დანერგვა და ვენეციის კომისიის მოსაზრებებთან თანხვედრა წარმოადგენდა, კრახი განიცადა, ვინაიდან მოსამართლეებს ფაქტობრივად მიენიჭათ სასამართლო რეფორმაზე ერთპიროვნული კონტროლის უფლება. ამავდროულად, არ განხორციელებულა ისეთი ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც სასამართლოს ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფდა[3].

რეკომენდაციები გარდამავალ დემოკრატიებში ანგარიშვალდებული და დამოუკიდებელი სასამართლო მმართველობის უზრუნველსაყოფად

2021 წელს, ექსპერტებმა სომხეთიდან, ბულგარეთიდან, საქართველოდან, მოლდოვადან, რუმინეთიდან და უკრაინიდან, დოქტორ დავით კოსარის (ჩეხეთის რესპუბლიკა) და დოქტორ ტილმან ჰოპის (გერმანია) მონაწილეობით, მოამზადეს რეკომენდაციები გარდამავალ დემოკრატიებში ანგარიშვალდებული და დამოუკიდებელი სასამართლო მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით[4] (შემდგომში *„რეკომენდაციები“*).

---

[2] CDL-AD(2015)045, შუალედური დასკვნა ალბანეთის სასამართლო სისტემის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის შესახებ, პარ 8.

[3] როგორ განვახორციელოთ წარმატებული სასამართლო რეფორმა გარდამავალ დემოკრატიებში: უკრაინის რეცეპტი, ანალიტიკური ნაშრომი: ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/16KglH967jo2rYcQUGEfdNXPlF382EiiY/view

[4] რეკომენდაციები ერთობლივად მომზადდა ორგანიზაციის „უფლებების დაცვა საზღვრების გარეშე“, „სამართლის დაცვისა და განვითარების ფონდის“ (სომხეთი), ბულგარეთის „იურიდიული ინიციატივების ინსტიტუტის“ (ბულგარეთი), დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის (საქართველო), მოლდოვის „იურიდიული რესურსების ცენტრის“, „ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის“ (მოლდოვა), „ექსპერტთა ფორუმის“ (რუმინეთი), „ანტიკორუფციული სამოქმედო

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

დოკუმენტის მიზანია „მოსამართლეთა მიერ არჩეული მოსამართლეების“ სტანდარტის ალტერნატივების დანერგვა. დოკუმენტში ასევე აღწერილია წარმატებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის ალბანეთში, მოლდოვასა და უკრაინაში. დოკუმენტი განიხილავს **სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას, როგორც თანაბრად მნიშვნელოვან ასპექტებს** და გვთავაზობს გზებს, თუ როგორ მივაღწიოთ აღნიშნულ მიზანს წარსულში გატარებული რეფორმებიდან მიღებული გაკვეთილების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეკომენდაციები არ ითვალისწინებს რაიმე ხისტ მოდელს, არამედ იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას და მხედველობაში იღებს ქვეყნების ადგილობრივი კონტექსტის მრავალფეროვნებას. შესაბამისად, რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ სასამართლო მმართველობის კონკრეტული მოდელის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, **ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ სასამართლოს ადმინისტრირების წინარე ისტორია, სასამართლო კულტურა და მოსამართლეთა შორის ურთიერთობა, ისევე როგორც ურთიერთობა მოსამართლეებსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის**.

დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული სასამართლო სისტემის მმართველი, დამოუკიდებელი ორგანოს ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოს, ასევე პოლიტიკოსების, ოლიგარქებისა და სასამართლო სისტემაში არსებული სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების არასათანადო გავლენებისგან. ამასთან, მოსამართლეთა ჩართულობის მნიშვნელობის აღნიშვნის პარალელურად, დოკუმენტში ნათქვამია, რომ **მოსამართლეებს არ უნდა ჰქონდეთ წევრობის ექსკლუზიური უფლებები ან კვოტები.**

ასევე საინტერესოა, რომ დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული დასახული ამოცანების მასშტაბებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინების მნიშვნელობა, ვინაიდან სასამართლო საბჭოს წევრობა შესაძლოა არ შემოიფარგლოს მხოლოდ იურიდიული პროფესიებით, არამედ ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების, ფსიქოლოგიის, მენეჯმენტის, მედიის და ა.შ. სფეროში გამოცდილების მქონე პირების ჩართულობასაც.

უკრაინისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულ ერთ-ერთ საკვანძო რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ **სასამართლო საბჭოს წევრებმა უნდა გაიარონ საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევის პროცედურა.** კომისია, რომელიც შეაფასებს კანდიდატების კეთილსინდისიერებას, უნდა შედგებოდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტებისაგან, რომლებსაც ექნებათ გამორჩეული პროფესიული და პიროვნული თვისებები, ასევე უმწიკვლო

ცენტრის“, Automaidan-ის, ფონდი DEJURE-ის, „პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების ცენტრის“ (უკრაინა) ექსპერტების მიერ. ხელმისაწვდომია:https://drive.google.com/file/d/1Jd9a3LiCn3bafOQPQyDQXoYrEo-1vJiv/view

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

რეპუტაცია და საზოგადოების ნდობა. კერძოდ, **კარგი რეპუტაციის მქონე სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი გამოცდილება კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში,** უნდა მიენიჭოთ დამოუკიდებელ საბჭოში წევრების ნომინირების უფლება.

რეკომენდაციების განხორციელებისათვის დღემდე გატარებული ღონისძიებები

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები პირველად წარდგენილი იქნა კიევში 2021 წლის ივნისში გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით „დემოკრატია მოქმედებაში". პანელურ დისკუსიაზე შეიკრიბნენ პოლიტიკის რეფორმატორები, ვენეციის კომისიის წევრები, ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები[5]. ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს გარდამავალი დემოკრატიების წინაშე არსებული პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან „მოსამართლეთა მიერ არჩეული მოსამართლეების" სტანდარტის მიხედვით სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პროცესში, ასევე ახალი გადაწყვეტილებების ძიების მნიშვნელობა, რომლებიც დაფუძნებული უნდა იყოს მსგავსი სირთულეებისა და დაბრკოლებების დამძლევი ქვეყნების გამოცდილებაზე.

დისკუსიის მომდევნო რაუნდი 2021 წლის ნოემბერში გაიმართა. ამჯერად პანელური განხილვა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნიდან ფართო აუდიტორიის ჩართულობას[6]. ევროპული საბჭოს ვენეციის კომისიის საპატიო პრეზიდენტი, ქ-ნი ჰანა სუჩოკა მიესალმა რეკომენდაციების ერთ-ერთ ძირეულ იდეას: სასამართლო საბჭოს წევრების შერჩევის პროცედურაში გარე ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეები დამოუკიდებლობით არ გამოირჩევიან. ქ-ნმა სუჩოკამ აღნიშნა, რომ ვენეციის კომისია იყო ერთ-ერთი პირველი ევროპული ინსტიტუცია, რომელმაც მხარი დაუჭირა აღნიშნულ მიდგომას. მან ასევე დაამატა, რომ *შესაძლოა საჭირო გახდეს ვენეციის კომისიის მხრიდან აღნიშნულ საკითხზე ზოგადი მოსაზრების მომზადება.*

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს გადამდგარი მოსამართლეებისა და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარემ (2018-2020), სერ ენტონ ჰუპერმა *აღწერა ის ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც უნდა განხორციელდეს გარდამავალ დემოკრატიებში.* (1) *სასამართლო საბჭოს რეფორმა მიზნად უნდა ისახავდეს საკუთარი წევრების კეთილსინდისიერების უზრუნველყოფას და (2) უნდა მოხდეს ხელახალი შეფასება იმ ზემდგომი მოსამართლეებისა, რომლებიც არ გამოირჩევიან კეთილსინდისიერებით.* სერ ენტონ ჰუპერს მიაჩნია, რომ საერთაშორისო

[5] დისკუსიის ჩანაწერი იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=CJkIMGmi8ZI&t=543s

[6] დისკუსიის ჩანაწერი იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=EAhd8yfJnq0&t=75s

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის", **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

ექსპერტების ჩართვა უნიკალური გამოსავალია, რადგან ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის გაძლიერებას რეფორმების მიმართ; ამიტომ მისი აზრით, აღნიშნული სასამართლო რეფორმის შაბლონად უნდა იქცეს.

ქ-ნმა ნინო ბაქაქურმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს წევრმა (CCEJ), ხაზი გაუსვა სასამართლო საბჭოს წევრების სამართლიანი და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურის მნიშვნელობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს წევრების მხრიდან პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების შესრულების გარანტს. მან ასევე დიდი ყურადღება დაუთმო სასამართლო საბჭოს ანგარიშვალდებულების საკითხს.

სლოვაკეთის რესპუბლიკის სასამართლო საბჭოს წევრმა, ბ-ნმა პავოლ ზილინჩიკმა, მაღალი შეფასება მისცა რეკომენდაციებს და მიესალმა სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას სასამართლოს რეფორმირების პროცესში. ბ-ნმა ზილინჩიკმა *ხაზი გაუსვა სასამართლო კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინების მნიშვნელობას და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სასამართლო საბჭოს წევრების პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის შეფასების მეთოდოლოგიის საჭიროებას.*

და ბოლოს, ბ-ნმა დევიდ კოსარმა, „სასამართლო კვლევების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა (JUSTIN), ისაუბრა რეკომენდაციების ავტორების მიერ შემუშავებულ ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე და წარმოგვიდგინა საკუთარი წინადადებები. კერძოდ, ბ-ნმა კოსარმა ხაზგასმით აღნიშნა, *რომ რეკომენდაციები უნდა გავრცელდეს იმ ორგანოებზე, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, დაწინაურებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ.* გარდა ამისა, ბ-ნმა კოსარმა ყურადღება გაამახვილა სასამართლოს თავმჯდომარეებზე და აღნიშნა, რომ თავმჯდომარე არ უნდა იყოს სასამართლო საბჭოს წევრი, რადგან ამგვარი წევრობა მას ძალაუფლების ზედმეტ კონცენტრირებაში დაეხმარება.

2023 წლის 1 აგვისტოს დისკუსიის ძირითადი შედეგები

ონლაინ ღონისძიება „დამოუკიდებელი სასამართლო მმართველობა: ეფექტური გადაწყვეტილებების ძიებაში გარდამავალი დემოკრატიებისათვის“ წარმოადგენს სასამართლოს რეფორმატორების განგრძობადი ძალისხმევის ნაწილს ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებში გაჟღერებული იდეების ხელშეწყობის მიზნით. ღონისძიება მიზნად ისახავდა რეგიონში სასამართლო რეფორმის ფარგლებში ბოლო ხანებში განხორციელებული ღონისძიებების ანალიზს და ასევე იმას, თუ როგორ ვრცელდება წარმატებული გადაწყვეტილებები საზღვრებს გარეთ. დისკუსიის გამორჩეულ მონაწილეებს შორის იყვნენ:

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

- **დოქტორი ტილმან ჰოპი,** ყოფილი მოსამართლე გერმანიიდან და კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სააგენტოს (NACP) თავმჯდომარის შესარჩევი კომისიის თანათავმჯდომარე (უკრაინა),
- **ქ-ნი ლავლი პერლინგი,** ყოფილი გენერალური პროკურორი ესტონეთიდან, ეთიკის საბჭოს (უკრაინა) და სასამართლოს მაკონტროლებელი კომისიის წევრი (მოლდოვა),
- **ქ-ნი ნონა წოწორია,** მოსამართლეთა და პროკურორთა თვითმმართველობის ორგანოების წევრთა დამოუკიდებელი შეფასების კომისიის წევრი (მოლდოვა), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე,
- **ბ-ნი ტარას ფაშუკი,** ვენეციის კომისიის სამდივნოს იურიდიული მრჩეველი.

დისკუსიას მოდერატორობას უწევდა უკრაინელი ექსპერტი, ჰალინა ჩიჟიკი. ქ-ნმა ჩიჟიკმა მონაწილეებს წარუდგინა რეკომენდაციების მოკლე პრეზენტაცია.

სიტყვით გამოსვლისას, **დოქტორმა ჰოპმა** ხაზგასმით აღნიშნა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც იკითხება ევროპული ინსტიტუციების, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ვენეციის კომისიის პოზიციებში განსხვავებული ისტორიისა და პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნებში სასამართლო მმართველობის მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ერთი და იგივე გადაწყვეტილებები განსხვავებულ ეფექტს იძლევა სხვადასხვა პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნებში; გადაწყვეტილებები, რომლებიც წარმატებით მუშაობს გერმანიასა და შვედეთში, არ იძლევა კარგ შედეგებს მაგალითად, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის შემთხვევაში.

დოქტორმა ჰოპმა ყურადღება გაამახვილა მოლდოვასა და უკრაინაში განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებზე და შემოგვთავაზა მათი ასახვა რეკომენდაციებში. დოქტორ ჰოპის აზრით, უკრაინაში უმაღლესი ანტიკორუფციული სასამართლოს შექმნა და დამოუკიდებელი შემფასებელი კომისიის აღჭურვა ისეთი მანდატით, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო ექსპერტიზის დასკვნების შესწავლას მოლდოვაში მოსამართლეობის მსურველი კანდიდატების შესახებ, მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს. შესაბამისად, ეს მექანიზმი უნდა იქნას შეთავაზებული სხვა ქვეყნებისათვის, როგორც ქმედითი და ეფექტური გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ დოქტორი ჰოპის აზრით, **ვენეციის კომისიას შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი წარმატებული გადაწყვეტილებების აღწერასა და დანერგვაში, ასევე სასამართლო მმართველობის არქიტექტურისა და ფუნქციონირების მოდელების შემუშავებაში იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის შექმნას**.

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

ქ-ნმა ლავლი პერლინგმა დამსწრე აუდიტორიას გაუზიარა საკუთარი გამოცდილება ეთიკის საბჭოს წევრად მუშაობის შესახებ. ეთიკის საბჭო სპეციალური დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც შეიქმნა უკრაინის უმაღლესი სასამართლო მმართველობის ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების კეთილსინდისიერების შესაფასებლად. საბჭოს მოვალეობაში შედის რეკომენდაციების შესრულება სასამართლო საბჭოს წევრების ღია და გამჭვირვალე შერჩევის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ის, რომ ზემოთ აღნიშნული ორგანო შედგება სამი უკრაინელი მოსამართლისა და სამი საერთაშორისო ექსპერტისაგან.

ქ-ნმა პერლინგმა ასევე ისაუბრა ექსპერტის რანგში მუშაობის საკუთარ გამოცდილებაზე ისეთი სისტემების წარმომადგენლებთან, რომელთა რეფორმირებაც ასევე დაგეგმილია. მან ხაზგასმით აღნიშნა პოლიტიკური ნების მნიშვნელობა რეალური რეფორმების გატარების დროს და ეფექტური თანამშრომლობის დამყარების აუცილებლობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რეფორმის განხორციელებაზე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ქ-ნმა პერლინგმა ხაზგასმით აღნიშნა **გარე ექსპერტების ჩართულობის უპირატესობა სასამართლოს მმართველობის წევრების შერჩევისას.**

ქ-ნმა ნონა წოწორიამ ანალოგიურად ხაზი გაუსვა გარე ექსპერტების (უცხოელი სპეციალისტები და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტები) ჩართულობის მნიშვნელობას. მან დეტალურად აღწერა მოსამართლეთა და პროკურორების თვითმმართველობის ორგანოების წევრების დამოუკიდებელი შეფასების კომისიის საქმიანობა, რომელიც 2022 წელს მოლდოვაში შეიქმნა. ქ-ნი წოწორია დარწმუნებულია, **რომ საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს წარმატებული შედეგების მისაღებად.** გარდა ამისა, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მისი აზრით ძალზედ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ შერჩევის პროცედურაში მონაწილე ექსპერტები იყვნენ დამოუკიდებელი და ღირსეული პროფესიონალები და არ მოხდეს მხოლოდ კვოტების შევსებასა და შესარჩევ კომისიებში მოსამართლე წევრების წარმომადგენლობაზე ფოკუსირება.

ქ-ნი წოწორია დარწმუნებულია, რომ მოლდოვას გამოცდილება დამოუკიდებელი შეფასების კომისიის უფლებამოსილების მასშტაბთან დაკავშირებით უნიკალურია და ეხმიანება **დოქტორ ჰოპის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ეს გამოცდილება უნდა იქნას შეტანილი რეკომენდაციებში.**

ბ-ნმა ტარას ფაშუკმა დამსწრეთ გაუზიარა საკუთარი კონსტრუქციული უკუკავშირი რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, ბ-ნმა ფაშუკმა ხაზი გაუსვა №1 რეკომენდაციის მნიშვნელობას, სადაც ნათქვამია, რომ კეთლსინდისიერება და ანგარიშვალდებულება სასამართლოს დამოუკიდებლობის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტებია. მისი თქმით,

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხი ყოველთვის მოიაზრება სასამართლოს დამოუკიდებლობასთან მჭიდრო კავშირში.

ბ-ნმა ფაშუკმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა ემთხვევა იდეებსა და დასკვნებს გამოთქმულს ვენეციის კომისიის მიერ საკუთარ უამრავ მოსაზრებაში. ბ-ნმა ფაშუკმა ხაზგასმით აღნიშნა სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, ასევე მოსამართლეების არასათანადო პოლიტიკური გავლენებისგან დასაცავად უსაფრთხოების ზომების გატარების აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ როგორც ბ-ნმა ფაშუკმა აღნიშნა, ვენეციის კომისია ამჟამად არ მუშაობს ახალ დასკვნაზე სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ, ამიტომ მან გააჟღერა კომისიის მზადყოფნა ითანამშრომლოს „სასამართლო რეფორმატორთა საერთაშორისო ქსელთან“ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მოკლედ, დისკუსიის ყველა მონაწილე აღიარებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად ეფექტური გადაწყვეტილებების ძიებისა და უზრუნველყოფის მნიშვნელობას. ისინი მიესალმებიან რეკომენდაციების შემქმნელთა ძალისხმევას და მხარს უჭერენ დოკუმენტის შემდგომი დახვეწის იდეას, სხვადასხვა რეფორმების წარმატებული გამოცდილების გაანალიზებისა და მოდელების შემუშავების მიზნით.

შემდგომი ნაბიჯები

1-ლი აგვისტოს ღონისძიებამ უდავოდ გამოკვეთა რეკომენდაციების შემდგომი განვითარებისა და ხელშეწყობის მნიშვნელობა. მიზანშეწონილია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1) გაიმართოს მთელი რიგი დისკუსიები „სასამართლო რეფორმატორთა საერთაშორისო ქსელის“ ფარგლებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რათა აღინიშნოს და აღიწეროს წარმატებული სასამართლო რეფორმების პოზიტიური გადაწყვეტილებები და ელემენტები,
2) შეტანილი იქნას რეკომენდაციებში ცვლილებები ახალი ქვეთავების სახით, სადაც აღწერილი იქნება სასამართლო მმართველობის რეფორმების წარმატებული გადაწყვეტილებები და მოდელები,
3) დამყარდეს კომუნიკაცია ვენეციის კომისიის სამდივნოსთან იდეებისა და მოსაზრებების ურთიერთგაცვლის მიზნით, ასევე რეკომენდაციების ხელშეწყობისა და კომისიის დასკვნების მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად, და
4) გაფართოვდეს ექსპერტებისა და ორგანიზაციების სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე დამყარდეს

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.

პარტნიორობა და თანამშრომლობა ექსპერტებთან, ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან.

დოკუმენტი მომზადდა ჰალინა ჩიჟიკის მიერ დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფისა და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოსთვის“, **USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით, რომელიც ფინანსდება **შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) ხელშეწყობით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არ ასახავს USAID-ისა და EWMI-ს შეხედულებებს.